

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფროეპა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსხვავებისა: დიდი ასობით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცოცვროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბუღაო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакцію газеты „Дроба“.

გაზეთის ფასი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მქესის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი მარტიდან წლის დამდეგამდინ 6 მან.

შული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი

საქართველო

დღიური

** ბუშინწინ, კვირა საღამოს, დიდი მთავარი ძავეკასიის ნამესტნიკი წაბრძანდა ბათუმში ახლად შემოყრებულის საქართველოს მაზრების დასახედავად.

* ამ უკანასკნელი ექვსი დღის განმავლობაში ჩვენ არ მოგვსვლია არც რუსეთისა და არც უცხო ქვეყნების ფორტა. მიზეზი—ძავეკასიის მთებში გზების შეკვრა. ბუშინ დილით ექვსი ფორტა ერთად მივიღეთ; ამის გამო დღევანდელს გაზეთში მხოლოდ ცოტაოდენი ამბების ამოკრება მოვასწრეთ ჩვენი „უცხო ქვეყნების“ განყოფილებისათვის.

** შაბათს საღამოს „ძრუოკის“ ხალაში დოქტორმა შმისსამ წაიკითხა ლექცია „სიქლოერქეზე“. ლექციის წამკითხავმა გააჩინა ამ სწეულობის სხვადასხვა მიზეზი და ამტკიცებდა, რომ სიქლოერქის მკურნალობა წამლებით და სასმელებით სრულებით ამაოა, მეტადრე თუ სწეულობა ჯანში ჩამჯდარია და რომ მედიცინას მხოლოდ ერთი ღონისძიება აქვს სიქლოერქის მორჩენისათვის—

ურჩიოს და აცნობოს ავთამყოფს ცხოვრება გიგიენის მოთხოვნების-და-გვარათ.

მს სწეულობა, უფ. შმისსას სიტყვით, ძრიელ გავრცელებულია ჩვენს ქალაქში და მეტადრე ღარიბ ხალხს შორის; ამიტომაც ჩვენ ეურჩეთ პატივცემულ დოქტორს, რადგანაც კეთილ გულის კაცად ვიცნობთ, გადმოათარგმნინოს და დაბეჭედინოს თავის ლექცია ქართულათ. მგონებთ რომ ამ კეთილ საქმეში მას დაეხმარება ძავეკასიის მედიკური საზოგადოება, რომელმაც 1871 წელს გამოასცა თავისის ხარჯით დოქტორის სობოლ შიკოვის (ბროშურა „საუკეთესო ცოდნა“. მს წიგნი მალე გავრცელდა ხალხში და ახლა ძლივსა მოიპოვება წიგნის მაღაზიებში,—ცხადია, რომ ხალხისთვის ამ გვარი თხზულება ნამდვილ მოთხოვნილებათ შეიქმნა.

* * ძავეკასიის მთებიდამ (სახელდობრ ძობის სტანციიდან) მოგვივიდა ჩვენ შემდეგი ამბავი:

„წლიევანდელმა ზამთარმა ისე მშვიდობით გაიარა ჩვენს მთაში, რომ სხვა წლებივით დიდის თოვლით, გზების შეკვრით, ყინვითა და სიცივით ხალხი სრულებითაც არ შეუწყულებია. მხოლოდ ამ მარტის 2 რიცხვიდამ ამინდი ცოტა სხვა რიგათ შეიცვალა: მოვიდა თოვლი, თუმცა პატარა; მაგრამ რაც მოვიდა, ისიც ატრიადიდამ დაბრუნებულის ყაზახების საუბედუროთ:

„4 მარტს სხენებულ ყაზახების სოტენა, რუსეთში მიმავალი, მოვიდა ბადარის მთის გადასასვლელად. ზამოსულა თუარა ეს ჯარი ბადარის აქედამ ხიღწედ, მაშინათვე აღმოსავლეთიდან ჩამოწოლილა ჯერ ერთი ზეავი თოვლისა; ჯარი შეჩერებულა; მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ მეორე უფრო დიდი ზეავი ჩამოწოლილა ზედ გზაზე და 21 ცხენოსანი კაცი გადაუტანია ხეში...

„ამავე წამს ამ გზის მეოჯარადრეს უფ. შარანგოზოვს მოუყვანია მუშები და დაუწყიათ ხეში გადატანილი ხალხის ამოთხრა. 4 კაცი და 6 ცხენი კიდევ ცოცხალი ამოიყვანეს თოვლიდამ. დანარჩენი 17 კაცი და 15 ცხენი კი სულ ყველა დაიხოცა.

მკვლრები ზოგი ამავე დღეს ამოთხარეს მუშებმა და ზოგი მეორე და მესამე დღეს, და ძობის წმ. ბიორგის ეკლესიაზე დაასაფლავეს“.

ზაბ. ბედოშვილი

მარტვილის სასულიერო სასწავლებელი

1-ს ამა მარტისა იყო დანიშნული ს. მარტვილსა კრება დეპუტატთა სამეგრელოს სამღვდელთაგანისა, რომელსაც უნდა ჰქონოდა მოლაპარაკება შესახებ აწინდელის უიმედოთ ცუდის მდგომარებისა ალაგობრივ სასულიერო სასწავლებლისა.

შველანი დაფიცურდნენ, ყველანი ეცნენ ერთმანეთს: დაიძრა თავადი, შეფაცურდა აზნაური, გამოიფინნენ მარტვილის ზაზარში რაც კი სოფელში გლეხები იყვნენ, დაიწყეს ჯგუფ-ჯგუფათ კრება, მასლაათი, რჩევა და განსჯა მასზე, თუ როგორ უშველონ თავიანთ საქმეს, თავიანთ თავს, ე. ი. დაუშალონ გადატანა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისა სხვა ალაგს.

ღიანაც ხუმრობა კი არ არის: სასწავლებელი, რომელიც იყო აქ, მარტვილს, ამოდენა ხანი, რომელშიაც ზრდიდნენ ყველა მარტვილელი თავიანთ შეილებს თითქმის რომ მუქთად, სასწავლებელი, რომელმაც გამოზარდა იმოდენა მცოდნე და განათლებული პირნი, რომ აქაური სული ყოველ დღე არის საესე 15-20 ალაგობრივი ადვოკატი, რომელთაც მიუღიათ თავიანთ ცოდნა ამ „კლასებში“; სასწავლებელი, რომელიც ჰყვებავდა და ჰყვებავს მთელს სოფელს, უზრუნველათ, უშრომელათ მოყოლებული კეთილ-შობილებიდან ვიდრე „ყაზახებამდე“, რადგანაც ყველა მოსახლეს ჰყავს მდგმურათ 5, 7, 10 შეგირდი და იკვებება მათი მჭად-ლომით არამც თუ თითონ, ჰყვებავს მთელს სახლობას, უძღვება მტერსა და მოყვარეს, რჩება კირში და ლხინში,—სიტყვით სასწავლებელი, რომელზედაც ყველა მარტვილელი არა ხმარობდა სხვა სიტყვას, გარდა „ჩქიმი კლასი“ და რომელსაც სთვლიდა თავის კუთვნილებათ, როგორც პატარძალი მზითევში მოტანილს ქათიბას და სხვა წითელს ფარჩის რაღაცას ბუზმენტ მოკერებულს,—ეს სასწავლებელი უნდათ წაიღონ, გააშორონ, წაართვან რაღაც სულიელურის მიზეზის გამო, რომ სახლი არ ვარგაო, „აგრე გონია კედლები ას-



წავლიდნენ, შევიწროებაში არიანო შევიწროებიც და უჩიტლებიც, ფოშტა, საჭელი, საცმელი არ იზოვებო და სხვა ამისთანებია.

„მუს რა გადას? მის შეულება? მუჟო შილები ნუაფ? ლუდს მეკვეათუნთ მინ მუთუნს იტყუნ“ (რას ამბობ, ვის შეუძლიან, როგორ შეიძლება; თავს გაგვადებინებთ, ვინც კი იტყვის!) ისმოდა ყოველგან, ყვიროდნენ ყველა მარტვილენი, კეთილ-შობილნი და გლეხნი, კაცნი და ქალნი; შინ თუ გარეთ, ბაზარში და დუქნებში ესენი სჯიან და გააჩვენებენ სასწავლებლის აწინდელს მდგომიარებას, რადგანაც საქმე ჯიბეს, დიუგის ლუკმას შეეხება და ამისთანა ხალხისათვის ჯიბის ინტერესს უფრო მეტი და უდიდესი ალაგი უჭირავს, მინემ ქვეისა და ცოდნისა. არ არიან გამტყუნარნი, რომ ცდილობენ სასწავლებლის მარტვილში დარჩენას თავგადადებით და უჩვენებიათ მისი დაკეტა, სინემ გადატანა სადმე: „მე ჩვენ, ან არავეს!“ ამბობენ ესენი. ლეთის მადლით მათზე არაფერი არ არის დამოკიდებული...

მართლმთაყ, რა გაჭირებაა, რისთვის ცდილობენ გადატანას სასწავლებლისა, რატომ არ ასვენებენ ამ საცოდნესა უიმისოთაც აკამდინ შე უხებულს, იმ წრემდინ მისულს რომ უმეტესი აღარ შეიძლება? სად უნდათ გადაიტანონ და რათა? რით ემჯობინება სხვაგან ყოფნა იმისი აქ ყოფნას? ეს კითხვები აუცილებელია შეუძლიანთ მისცენ მეთაურებს ამ საქმისა არამტყუნ ყველა მარტვილელმა, არამედ ყველა მეგრელობა, ყველა ქართველმა, რომლისათვისაც ცოდნა და განათლება, კეთილი მდგომიარება და წარმატება შეკოლებისა ამ ჩვენს დაობლებულს და სხვა მხრეთათაც დაცემულს სამშობლოში ცარიელი სალიებრალო, საფრანტო, თუ განოსაჩენი სიტყვები კი არ არიან, არამედ გულით და სულით ცდილობენ მოიტანონ თავიანთ სიცოცხლით ცოტადენი მაინც სარგებლობა, დაანთონ მამულის ტაძარში ერთი ორ გროშიან სასწავლებლი მაინც.

დაკმაყოფილება ამ მოყვანილის კითხვებთან, შეძლებისა დაგვარად, შეადგენს შინაარსსამ წერილისას და იმედია რომ „დროება“ მისცემს ამას ალაგს:

აწინდელი ოთხ-კლასიანი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი სულ პირველათ იყო ერთ, შემდეგ ორ-კლასიანი შეკოლა სამრევლოისა ერთის ზედამხედველით და ერთის უჩიტლით. ზედამხედველს ეძღიოდა წელიწადში 120 მანეთი ულუფათი, რომელიც მდგომიარებად მჭაღში. დროში, ნახევარ ქათამში და ცოდადენ ლინოში. მასწავლებელს ეძღიოდა, როგორც მასხოვს, მანეთი წელიწადში. შემდეგ ზედამხედველს ისიდორე ეგზარხოსის დროს, გაუხადეს ვგონებ 300 მანეთი, მასწავლებელს 150.

იმ კუროთხეულის დროს, როდესაც საკმაო იყო სხაპა-სხუპით კითხვა ხუცური სამლო წიგნებისა, რომ მდღელათ

ეკურთხებინათ და ბოლოჩინობაც მიეცათ, როდესაც მრთელს სამეგრელოში არ იყო არცერთი სასწავლებელი, სადაც მოზარდე შესძლებდა რუსულ ანბანი მაინც ესწავლა, ამ შეკოლას მოჰქონდა თავის დაგვარაჲ საკმაო სარგებლობა. სამღვდლო პირნი ცოტათ თუ მეტად, ემზადებოდნენ (მრთელს სამეგრელოში თუ იზოვება რამდონიმე ცოტათ მაინც ნასწაველი მღვდელი, სულ აქ მიუღიათ სწავლა; კურს შესრულებული სემინარიაში, ანუ ცოტათ მაინც ნასწაველი იქ არც ერთი არ არის, როგორც მებეჯითად მახსოვს); ზოგი აქ ნასწაველი შედიოდნენ სხვა და სხვა სამოქალაქო სამახურში და, თუმცა რა თქმა უნდა, პისრობილამ იწყობდნენ, მარამ ესლანადვორნი და სხვა სოვეტნიკებამდინ მიუწყვიათ. თქმა არ უნდა, სასწავლებელმა მოიტანა აუცილებელი ამისთანა საქმეში, ცოტადენი ვნებაც, მაგალითად, გაამრავლა, უმეტესად მარტვილში, უცოდინარო მცოდნენი, რომელნიც ესლა სარგებლობენ სრულებითი უცოდინრობით თავის მოძმეებისა და სწოვენ მითვან სისხლს, მარამ ეს, ვიმეორებ, ყველა საქმეში სადაც თვითონ საზოგადოებაში არ არიან გავრცელებულნი კეთილ სასინიდისო გონობანი, აუცილებელია.

(ზაგოძელბა)

„დროების“ კორექსიონდენცია

ზემო - იმერეთი, 4 მარტს. სოფელს ძევალითში არის ერთი დიდებული და სახელ განთქმული ეკკლესია, რომელიც არის აგებული ერთ მივარდნელ მთის ძირში წმიდა ბარბარის სახელობაზე.

შემდგომ წმიდა ბარბარის წამებისა სამძმა—ხუკვირადმეზ მოუსვენებით აქ მისი ხელის ნაწილი მჯჯა, რომელიც ასვენია ოქროთი მოვარაყებულ კოლოფში.

ეს სამი ძმა დასახლებულა აქვე ეკკლესიის გალაფანს გარეთ, საიდგანაც ემსახურებოდნენ ეკკლესიას. ღღეს ეს ხუსკვიადე არის 60 კომლამდის; მათ მოგვარეს არ შეუძლია სხვა ქვეყანაში, ანუ სოფელში გადასახლება.

მრთი მათ მოგვარეთავანი დასახლებულა ძახეთში, ცოლი შეურთავს და შეილებიც შეძენია, პირველად შეიღებები დახოცია და მეორეთ თვითონაც გამხნდარან ავთ. ავათმყოფობის დროს სულ ამას იძახოდნენ: „წმიდა ბარბარე ხორცილო გვიშველე, შენს კალთას ქვეშ მოვალთ და ნუ ამოგვხოცავითო“. ხალხი ამბობს, ქნეს თუ არა პირი იმერეთისაკენ, მაშინვე კარგად შეიქნენ, მივიდნენ შეწირეს ეკკლესიას და დეისახლონენ იქვე სადაც მისი ძმები სახლობდნენ.

ამათ გვარში ყოველთვის ყოფილა არა ნაკლები ორი-სამი მღვდლისა. რაც ამ ეკკლესიის გარეშემო აღგილები ყოფილა მთა ანუ ბარი სულ ხუსკვიადეებს კავებიათ და საეკკლესიო ყოფილა, მაგ-

რამ დროთა ვითარებისაგან, შეჭარბის დროს, სულ ეს ხუსკვიადეები ერთად მღვდელი ამდენი აუარებელი აღგილებით ჩაცვენიან ხელში კვალითელ აზნაურთ მუნცადებლა.

ამ ეკკლესიას განაგებს მღვდელი ი. ხ—დე. ამ ეკკლესიის სახელ-განთქმულობით ამ მღვდელმა ძალიან ისარგებლა და სარგებლობს სამრევლოში. მან კარგად იცის, რომ მის მოწაფეებს ძალიან ემინიათ წმიდა ბარბარის სასწავლის (საზოგადოდ იმერეთში ძალიან ემინიანთ სასწავლის). თუ ვინმე მოწაფეთავანმა რაიმე შეურაცხყოფა მიიყენა და ანუ აწყენია რამე მას, აზნაური იყოს გინდ გლეხი, ნათესავი ანუ უნათესაო, მაშინვე ხატზე გადასცემს და ოჯახობით შეაჩვენებს. არც უწირეულოცავს, არავითარი მღვდელთ მოქმედება აღსრულებისათვის აღარ მივა მასთან, ეუბნება და უცხადებს: „მე შენი მღვდელი არა ვარ, სხვა იზოვე ვინმეო“ და სხე...

მრთი მისი მრევლთავანი ზნაური ს. ბ—დე რაღაცაზე უჩივის ყოველად სამღვდლოსთან. ამასზედ მღვდელი შერისხდება, მას ხატზე გადასცემს და შეაჩვენებს ოჯახობით. შემდეგ რამოდენიმე ხნისა გახდება ავთ ხატზე გადაცემული ს. ბ—დე. ქვალის სნეულეობით და სისხლის ფურთხებით. მღვდელი აგრცელებს ხმ ზს, რომ ხატი ჰკლავს მას ჩემი შეურაცხყოფის მოყენებისათვის შეიტყობს თუ არა სნეულის პატრონი, მაშინვე დააჭრენ მოციქულებს მღვდელთან და აძლევს სალოცვილოს; მღვდელი მიასვენებს წმინდა ბარბარეს სასწავლს სნეულისას, დააჩოქებს ყველას კარგა მყოფს, ავთ მყოფი წამოჯდება საწოლში, ხელში მისცემს თითო ანთებულ სანთელს და ვევერება ხელეხატნობილი მღვდელი სასწავლს ამ სიტყვებით: „შემოგხვეწნია და გეხვეწება აზ. ს. ბ—მის ოჯახობა და თვითონ ისიც: რაც მე მან აბიდა მომაყენა. ვითარცა შენ წინაშე მსხვირბლის შემწირველსა მღვდელსა და შენზე შემოავადვენე მისი დასჯა და გარდახდევინება შეურაცხყოფისა, ისმინე ვევერება ჩემი და დღეს თვალად ვხილეთ სასწავლის მოქმედება შენი, რისთვისაც შემოაკეს 15 მანეთი და მეც გევედრები ნურათფერს მოედავები ს. ბ—ს და ნურც ამის ოჯახობას, დააყენე პირველ ჯანზე დალონზე.“ ბათავებს რა ამას ამთხვევს ხატს პირველად სნეულს და მეორეთ ოჯახობას და დაასვენებს ხატს კუთხეში და თვითონ კრკუთლით დასხდებიან სადილათ და ჩაწრუჰამენ ნუნუას!...

შემდეგ მორჩება სნეულიც, სისხლის ფურთხებასაც დაუტევებს და ქამის მადანედაც მოდის, დარწმუნდებიან, რომ ხატისაგან კი არ ყოფილა გაცივებისაგან დამართნია. ფული და სადლი ტყუილად დაკარგა...

მრთს შემოხსენებულის ეკკლესიის შემომავლის აზ. მეუღლეს ქონდა მამაპაპიდგან დებულება ყოველ წელს ერთ დანიშნულს დღეს წირვა ამ ეკკლესიის-

ზედ. მით დროს ამ ქალის მეუღლეს რალა ცაზედ ცოტა ლაპარაკი მოუხდა მოძღვართან, მოძღვარი შეფხუკიანდა, როგორც მე შენ მკადრეო, შეჩვენა ყველა მისი ოჯახობა და ხატუნდაც გადასცა ბანგლო რვა წელმა მათ აქეთ; აღარ უწირა და აღარც ხმა გაუცია თავის მოწაფისათვის. წარ უღს იანერის თევში გახდა ავთ ხსენებული აზნაური; თუცა ბევრი სთხოვეს მღვდელს შინდობა, მაგრამ არ მივიდა, ითხოვდა 100 მანეთს თავის შეურაცხყოფისათვის და ამდენი ხნის უბარი, ხმა გამოუცემელი დედაკაცი მოკვდა.

მეორე დღეს შაბათს მიდის ქმარი გარდაცვალებულისა ეკლესიაზედ, სადაც მწირველია მღვდელი. შემდეგ დიდის ვედრებისა და მოციქულების გზავნისა შეურიგდება მღვდელი, გადახდენინებს რითაც გული შეუჯერდება 100 მ., დალოცავს, როგორც ჩვეულია ეკლესიაში სადაც მთელი საზოგადოება ყურობს, შემდეგ კიდევაც მივა სატირლად და შინდობას მისცემს გარდაცვალებულს.....

ეს შემოხსენებული გარემოება მკითხველებისათვის და ვისიც ვაღიარებ ურადლება მიაქციოს მათთვის მიმინდვია, თუ რამდენათ ემსახურება ამისთანა მღვდლის ღირსებას, რომელიც თვითონ უნდა სპობდეს ამგვარ უწესობას ხალხთა შორის..

ტ—ლი

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი

ამ თვის 10-ს ერთს რესპუბლიკელ დეპუტატს საფრანგეთის ნაციონალურ კრებაში შეუტანია წინადადება, რომ ეს ქრება და სენატი პერსალიდამ პარიჟში იყოს გადმოტანილი. ამან დღეს ესევე წინადადება შეუტანია სენატში სენატორს პეირას.

ნაციონალურ კრებას ამ საგნის განსახილველად დაუნიშნავს ცალკე კამისია, რომელსაც მეორე დღესვე წარუდგენია კრებისათვის თავის აზრი; ეს აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგნის განსახილველად საჭიროა კონსტიტუციის გადახედვა და ამისათვის ნაციონალური კრება და სენატი ერთად უნდა შეიყარნენ და მოილაპარაკონ ამ საგანზედა. შინაგან საქმეთა მინისტრს გამოუყენებია, რომ სამინისტრო თანახმაა კამისიის აზრზედ, რომელიც ამ გვარად კიდევ მიუღია კრებას. 330 ხმის უმეტესობით 131 ხმის წინააღმდეგ.

ინგლისი და ავღანი

მოგვხსენებთ, რომ ინგლისსა და ავღანის ახალ ემირს იაკუბ-ხანს შორის დაიწყო მოლაპარაკება მორიგების თაობაზედ და ინდოეთის ვიცე-კოროლმა გაგზავნა ამ საგნისათვის დანდობილი კაცი იაკუბ-ხანთან მოსალაპარაკებელად. ახლა მოვიდა ამბავი, რომ ინგ-

ლისის ელჩი ვერ მოთავსებულა იაკუბ-ხანთან, და ამის გამო უეჭველიაო, რომ როგორც ცოტა ხერხიანი დარები დადგება და გზები გაკეთდება, იმწამსვე ინგლისსა და ავღანას შუა ხელ-ახლად ბრძოლა დაიწყება. ამბობენ, ინგლისის ჯარს უკვე ბრძანება მიუღია, რომ ავღანის სატახტო ქალაქის ტაბულის ასაღებად გაეღაშქროს.

სამართალი

ურიების საქმე

ჭეთათის ოლქის სასამართლოში
სხდომა 12 მარტს, დღით.

ალექსანდროვის სიტყვა (დასასრული) მოწამემ ნადიკენარმა იოსებ იაკობაშვილმა ერთსა და იმავე დროს გაიგონა—როგორ ერთი პატარა ბიჭი მივიდა ურისათან და ჰკითხა იმას, სად წაიღეთ წუხელი რომ ბავშვი აწვალეთ? და ამ კითხვისთვის ურამ სცემა იმას; ამავე დროს იმან თავის გზაზე მიმავალმა დაინახა, რომ მოშა ცოცხალი ურიების ეზოში შედიოდა და კრებაზე იწვევდა; გაიგონა ერთი ურიის დედაკაცის ჩხუბი ამ მოშასთან, რომ ჩემი შვილი არ ჰრევიან თქვენს საქმეში, როდესაც თქვენ ქრისტიანის ბავშვი აწვალეთო და არც კრებაზედ გამოუშვებო! შევლა ეს იაკობაშვილმა, მოგახსენებთ დაინახა ერთსა და იმავე დროს, როდესაც თავის გზას ადგა და მიდიოდა.

ამ მოწმის ჩვენება ერთს ძველ ანექლოტს მომაგონებს: მართი ღენერალი მივიდა მხატვართან და სთხოვა, რომ სურათი დამხატვო ბრძოლისა, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში გაგრძელდა და რომელშიაც მე მივალე მონაწილეობაო; პირველ დღეს ჯარები დააწყე რაზმით, მეორე და მესამე დღეს ბრძოლა რომ იყოსო და მეოთხე დღეს მტრის ჯარები დახოცილები რომ ეყარონ ბძოლის ველზედაო და კენესოდნენო.

—რამდენს სურათზე გნებავთ, რომ ყველა ეს იყოს დახატული? ჰკიანხა მხატვარმა.

—შველაფერი ერთს სურათზე უნდა იყოს გამოყვანილიო! მიუგო ღენერალმა. მხატვარმა უარი თქვა; მაგრამ იოსებ იაკობაშვილმა კი დაგვიხატა ამგვირი სურათი და ამნაირად თავის თავი მოძრავ პანარამად წარმოგვიდგინა...

(თავსმჯდომარემ შენიშვნა მისცა უფ. ალექსანდროვს, რომ გთხოვთ მოწმებს შეურაცხყოფას ნუ მიაყენებთო).

რამდენათაც მე მებრალემა წეს 61 წლის ბრალდებული ისხაკა ხუნდიაშვილი, რომელსაც სამოცი წლის სიცოცხლე ისე გაუტარებია, რომ სასამართლოს კარები არ უნახავს და მე-სამოცი-და-პირველ წელიწადს ხედა ბედით ბრალდებულის სკამზე ჯდომა, რამდენათაც ეს ისხაკა მე მებრალემა, იმდენათ თანა-

ფერძნობ მე მოშა ცოცხალი. ეს მოშა არის ჩემი იოსებ მშენიერი, რომელსაც ყველა ღალატობს, რომელსაც არაფერი ეხერხება ცხატვრებისა შიშის მოშენდა მკითხავს აკითხინოს თავის მოშავადი ბედი და მიდის მკითხავთან ტუმშადესთან. მართალია, მოსეს კანონით აღკრძალულია მკითხავობა, მაგრამ მოგვხსენებთ, რომ თვით მევე საულმაც მიმართა მკითხავს რათა გამოიხმოს სამუილის აჩრდილი! ეს მკითხავთან მისვლაც დანაშაულობად ჩაეთვალა მოშას. ურიების საქმე რომ დაიწყო გამოძიებით, მოშამ სთხოვა ღიმ. წერეთელს რომ, თუ რამე გკითხონ, მართალი ეჩვენეო. ამ სიტყვებშიაც რალა ცა გამამტყუენებელ გარემოებას ჰხედავს უფ. პროკურორი!

ახლა ის ორი ცხენის კვალი, რომელიც პროკურორის სიტყვით, საჩხერიდამ დაბრუნებულ ურიებისა უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ მკედარი სარა მოდებამისა რომ ნახეს, შემდგომ გაფრცელდა ხმა, რომ ის ურიებმა მოიტაცესო. მანამ რამდენი ცხენოსანი კაცი მივიდოდა იმ ადგილას მკედრის სანახადად. ძვალს კი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მიაქციეს ყურადღება.

ამნაირად ვერც ერთი საბუთი, რომელიც გამამტყუენებელს აქტშია მოყვანილი, კრიტიკას ვერ გაუშავრდება. გამომძიებელმა და საქმის გარემოებებამ ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ სარას სიკვდილის ამბავი:


სარა მოდებამისა წამოვიდა ცხადის სახლიდამ; დაეხა გზა, რადგან იმდროს წისლი ჩამოაწვა სოფ. პერვეისას, იარა ერთი საათი, იარა მეორე, მესამე, დაიქანცა, თან შიმშილმა შეაწუხა, დამეც შემოესწრო, მივარდა სადმე და რადგან იმ ღამეს სუსხიანი, წვიმიანი და ცივი ღამე იყო, დაქანცულ-მშვიერი ყმაწვილი მიწვა იმ ადგილას, საცა ის ნახეს, და მოკვდა.

იმ ვამად არავის არ ჰქონდა ეჭვი, რომ სარა სხვაფრივ ჰყოფილიყო მკედარი. მშობლებს არ გამოუყენებიათ ეჭვი, მამასახლისმა ნება მისცა იმის დამარხვისა და მიცვალბებული გაუსინჯავად დასაფლავეს. პრაივთარი განსაკუთრებული ნიშნები ძალათ მოკვლისა ბავშვს არ ეტყობოდა.

მართლაც, თუ ბავში მოკლულია, ერთი ისეთი ნიშანი მაინც აღმოჩენილიყო, რომელსაც ნათლად დაემტკიცებინა ჩვენთვის, რომ ის ძალად მოკლულია. მართი ანექლოტი მაგონდება აქ მე უნებურად:

ამ სამი საუკუნის წინათ ერთს მოხუცებულ დედა-კაცს ასამართლებდნენ, რომელსაც კუდიანობას აბრალდებდნენ. მოსამართლებებს ერთ-ბაშად ვერ გადაეწყვიტათ ამ დედა-კაცის ბედი: ჰფიქროს იყვნენ, გაამართლონ, თუ გამამტყუენონ. ამ დროს ერთი ვიდაც კაცი წამოდგა მკითხველ საზოგადოებრიდამ და დაიძახა:

—რა ბევრს ჰფიქრობთ: უნახეთ მაგ დედა-კაცს, კული აქვს, თუ არა! მთ აქვს, კუდიანი ყოფილა, თუ არა გაამართლეთ!



„მართლაც, უნახეს და კუდი არ ამო-
უჩნდა... დედა-კაცი გაამართლეს.

„სწორეთ ამ გვარადვე მოგმართათ
მეც თქვენ, უფ. მოსამართლენო: პრო-
კურორი ამტკიცებს, რომ ხელები იმი-
ტომ ჰქონდა დაჭრილი, რომ სისხლი
გამოეშვით ურიებს იქიდან. ბანსავეთ—
შეიძლება იმ ადგილიდან მადგენი
სისხლის გამოშვება, თუ არა? სად არის
სხვა ნიშნები? სად არის ნიშნები ლურ-
სმებიან ბოჩკაში გორებისა? სად არის
იარა გვერდში? სად არის მოჭრილი
ბრჩხილები და ძუძუები, რომელიც, რო-
გორც ამბობენ, ურიებისაგან ნაწვალვე
ქრისტიანს უეჭველად უნდა ჰქონდეს?

„ამ ნაირად, არც ერთი საბუთი უფ.
გამამტყუვნებლისა არ მართლდება, არც
ერთი ნიშანი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც
ამტკიცებდეს, რომ სარაა მო-
დებადისა მოკლულია და მოკლულია
სახელდობრ ურიებისაგან...“

„შემდეგ უფ. პლექსანდროვმა დიდ-
ხანს ილაპარაკა და ბევრი ისტორიული
გარემოება მოიყვანა იმის დაამტკიცე-
ბელად, რომ ურიებს არასოდეს არ ჰქო-
რებიან ქრისტიანის სისხლი და რამ-
დენჯერაც კი ატყდა ამაზე პროცესი,
ყოველთვის დაუმტკიცებელი დარჩა ესაო.

„თავის მჭევრმეტყველური სიტყვა უფ.
პლექსანდროვმა ასე გაათავა:

„ეს დღევანდელი პროცესი ურიები-
სა არის პირველი პროცესი, რომე-
ლიც სახალხოდ ირჩევა. ეს პროცესი
მოსპობს ქრისტიანის ხალხის ცრუ-მორ-
წმუნობას, ვითომც ურიას ქრისტიანის
სისხლი ეჭირებაო. დიდი საზოგადო
მნიშვნელობა ექმნება ამას; ეს აჩვენებს
გამომედიებლებს, რომ ხალხის ხმას არ
უნდა მიაქციონ იმათ ყურადღება; ის
მოაგონებს პროკურორებს, რომ ისინი
იმისთვის არიან დაყენებულნი, რომ
უსაფუძვლო ეჭვისაგან დაიცვან ჩვენი
სახელი და თავისუფლება.

„მე გავათავე, უფ. მოსამართლენო.
ბული დამშვიდებული მაქვს: ბრალდებ-
ულების გამტყუვნების არ მეშინია.
თქვენის სიბრძნისათვის მომინდია იმა-
თი ბედი. მე მრჩება მხოლოდ ენატრო,
რომ ეს პროცესი ყოფილიყვეს უკან-
ასკნელი ამგვარი პროცესი“.

„უფ. პლექსანდროვმა სამი საათი ილა-
პარაკა. იმის შემდეგ წარმოსტევა თავის
სიტყვა უფ. პუბერნიკმა.

(ზაგრძელება)

ბანსაღებანი

ანგარიში

ოქუზრბათის გამსახველ-შემახველის ამხანაგობისა

ამხანაგობის გახსნის დღეს, 5 მარტს 1878 წელსა, იყო: წილის 217 მ. 20 კ. 1878 წელში

	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
შემოსავალი			ზასავალი	
წილის ფული	473	90	წილის ფული	15
სარგებელი დაჭერილი სესხო ბის დროს ანუ ახალი ვადის			მოგება წილის ფულისა 1878 წ.	60
მიცემის დროს	38	47	ზასესხებული	846
ჯარიმა	„	60	სარგებელი დრომდი გადაზ-	
დაბრუნებული ნასესხი	71	50	დილი სესხისა	13
			სამმართველოს ხარჯი	5
სულ —	584	47	სულ —	868

1 იანვარს 1879 წელსა არის:

	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
წილის ფული	675	„	ზასესხებული	676
სათადარიგო თანხა	6	33	დარჩა ნალდი ფული	33
წმინდა მოგება	27	64		
სულ —	709	7	სულ —	709

მმართველნი: }
მეტომე შილაქანიძე
ქაიხოსრო მახარაძე
ბრიგორი შარაშიძე.

რ.პ. გზა.	დ.ლა.	ს.ლა.	II კ.	III კ.	ბელგრაფი	მან.კაპ.	მაზანდა	მან.კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	8 კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 15 მარტს.		მრეწველ მადანზე, წინამძღვარების სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქაეკახის აქთა მხრის ყველა		ფქვ. თფთ. ბანჯისა, ფთ.	160	სეთამყოფებს მიიღვენ ყოველს
ბორი	11 58	9 43	3	1 53	ქალაქებში	50	ფქვილი წითელი	140	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	ქერი ფული	110	მ.რ.შ.ბ.ათ.ს: მერმიშევი და ბა-
სურამი	1 44		4 90	2 61	პეტერბურს, მარშავს	2	ბამბა მრეწვისა, ფული	740	რალევიჩი—შინაგ. ავთა., ქიუნჩა-
ქვირილა	5 49		7 21	3 69	მსმალეთში, შვეიც. რიაში	3	— ამერიკისა, ფული	850	როანტ—ქალის ექიმი და საშვი-
რიონი	6 57		8 44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაპენტილი ბამბა ფული	970	ლოსნოს ოპერაციები.
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ინგლისში	3 75	მატული თუშური ფული	650	სამშ.ბ.ათ.ს: მერმიშევი—ში-
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	უოჩბა		— თარაქამისა ფული	380	ნაგ. პ. ბახუტოვი—საბებიო და ბაგ-
შოთი	9 50		12 24	6 26	ა) თფილისიდან: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და ხუთშ. მ.შურ.—პარასკ. და ორშ. პა- ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი- სიდან: თფილისისა და შოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.შურ- გვთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუხური სტ. ქონი, ფული	210 530	შვის. პუუნოვი—თვალის.
შოთი	9 3				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ქონის სანთელი ფული	755	მ.თ.შ.ბ.ათ.ს: მერმიშევი ში-
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	ლია წიგნის	4	სტეარინის სანთელი, ფთ.	1255	ნაგანი ავთამყოფობის.
სამტრედია	11 5		2 61	1 33	და ბეჭდის (ხამი მისხალი)	8	ხორცი ძროხისა, ლიტ.	18	სხუთშ.ბ.ათ.ს: მერმიშევი—ში-
რიონი	12 13		3 84	1 97			— ცხვრისა, ლიტრა	18	ნაგ. ქიუნჩარიანი—სიჭილიტიკუ-
ქვირილა	1 18	ლაშე.	5 3	2 56			სპირტი ვედრო	460	რი და საზარდვ ორგანების.
სურამი	5 12		11 07	34 3 74			შაქარი, ბროც. ფული	745	პარასკევს: მერმიშევი—შინაგ.,
ხაშური	5 39		13 77	51 3 84			— ფხვნილი ფული	560	პ. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და
ბორი	7 5		4 89	24 4 73			ქავა გრგვალი, გირგ	65	ბავშვების.
მცხეთა	8 50		6 59	11 39 5 82			შეთი ქუნჯუთისა ფული	1170	შ.ბ.ათ.ს: მერმიშევი შინაგ., და
თფილისი	9 31		7 56	12 24 6 26			თამბაქო, საშუალო ფთ.	680	პუუნოვი—თვალისა.